**დანართი №1**

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება**

## მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (შემდგომში ფაკულტეტი) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
2. დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

## მუხლი 2. დოქტორანტურა

1. **დოქტორანტურა –** აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური.
2. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
3. **დოქტორანტი** – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
4. **დოქტორი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.
5. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს თსუ სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის საფუძველზე. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

## მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, გარდა იმ პირისა, რომელსაც მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის $2^3$ პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საფუძველზე; დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელმაც დაასრულა ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და რომელიც ამ პროგრამის განხორციელების დროს უფლებამოსილი იყო სწავლა გაეგრძელებინა ასპირანტურაში.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში, მხოლოდ აკრედიტებული სადოქტორო პროგრამების ფარგლებში პროგრამაზე მიღების წინაპირობების დაცვით.
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის, ხელმძღვანელების/ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების, დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი/წახალისების მექანიზმებისა და სხვა ასპექტების შესახებ.
6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილება და შესაძლებლობები, ასევე, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგია.
7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება კომისიური წესით.
8. დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
9. კვლევითი უნარების შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება. სფეროს შესაბამისობას აზუსტებს კონკრეტული სადოქტორო პროგრამა.

10. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში დოქტორანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა, რაც განისაზღვრება თსუ აკადემიური საბჭოს N 138/2024 დაგენილების N2 დანართით („უცხოური ენის ცოდნის დონეების განმარტება“).
11. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე, სულ მცირე, ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით.
12. დოქტორანტობის კანდიდატი ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ქართული ენის ცოდნის დადასტურების ვალდებულებისგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვა ხდება საერთაშორისო პარტნიორობის/პროექტის ფარგლებში.
13. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დადგენილ იქნეს პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები.

**მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები და წესი**

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს წერილობითი განაცხადი შეაქვს რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამა. განცხადებას თან უნდა ერთოდეს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით, ამ დებულებითა და შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.

3. დოქტორანტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად დოქტორანტობის კანდიდატი შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობის გათვალისწინებით:

   ა) ადასტურებს პროგრამაზე მიღების წინაპირობით დადგენილ უცხო ენის (ენების) ცოდნის დონეს გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენით;

   ბ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღებ კომისიას წერილობითი სახით წარუდგენს სადოქტორო კვლევის თეზისს/პროექტს.

   გ) კომისიის მიერ კვლევის თეზისის/პროექტის დადებითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტი გადის გასაუბრებას ან/და აბარებს მისაღებ გამოცდას (ზეპირი ან/და წერითი ფორმით) სპეციალობაში.
5. დოქტორანტობის კანდიდატის კვლევის თეზისის/პროექტის შეფასების და გასაუბრების წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი. შეფასების კრიტერიუმებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
6. დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცებულ მიმღებ კომისიასთან, რომელიც შედგება შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. კომისიის წევრებს კანდიდატის საანკეტო მონაცემებს მოახსენებს და პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობებს და დოქტორანტის კვლევის თეზისის/პროექტის შეფასების შედეგებს აცნობს კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე). გასაუბრებაზე დოქტორანტობის კანდიდატი კომისიას წარუდგენს სადოქტორო კვლევის პროექტს და უპასუხებს კომისიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს. კომისია დადგენილი კრიტერიუმებით აფასებს დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრების შედეგებს (იხ. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული „დოქტორანტის კვლევის თეზისის/პროექტის და გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები“).
7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრება შესაძლებელია უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, რაც განისაზღვრება თსუ აკადემიური საბჭოს N 138/2024 დაგენილების დანართი N11-ით („დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრების წესი“).
8. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველია სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობით დადგენილი უცხო ენის (ენების) ცოდნის დონის გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენით დადასტურებისა და კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე კანდიდატთან

ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს.

9. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინებით გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს – კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის ბრძანებას.
10. პროგრამის სწავლების ენისა და უცხო ენის გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი. უცხო ენასა და პროგრამის სწავლების ენაში საგამოცდო ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებაზე პასუხის- მგებელია თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრი.

**მუხლი 5. დოქტორანტურაში სწავლის პირობები**

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
2. ფაკულტეტი დოქტორანტურაში მიღებას აცხადებს კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც განსაზღვრავს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს.
3. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.
4. სადოქტორო პროგრამაში ჩართულ დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი და აქვს კონკრეტული კვლევითი პროექტი, რომელიც მიესადაგება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის პრობლემატიკას/სფეროს.
5. სადოქტორო პროგრამა შეიძლება იყოს დარგობრივი, ინტერდისციპლინური ან თემატური.
6. სადოქტორო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და/ან სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.
7. ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს თსუ-ს რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს.
8. სადოქტორო პროგრამები შეიძლება გაერთიანდეს სადოქტორო სკოლებში, ინტერდის- ციპლინურ ცენტრებში და ა.შ.
9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.
10. დოქტორანტმა ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს მისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კრედიტების რაოდენობა და შეასრულოს კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

11. დოქტორანტს, რომელიც დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს, უფლება ეძლევა დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლა დამატებით სემესტრებში.
12. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ფაკულტეტის/ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებითა და უნივერისტეტში მოქმედი სხვა შიდასამართლებრივი აქტებით.
13. მობილობის წესით სადოქტორო პროგრამის შეცვლის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამაზე მიღების ყველა წინაპირობას.
14. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა შიდა მობილობის ფარგლებში ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.
15. დოქტორანტი, რომელსაც შესრულებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის საჭირო დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტს და სადისერტაციო ნაშრომს იცავს უნივერსიტეტში დადგენილი წესით.

**მუხლი 6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი და პერსონალი**

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში, უშუალოდ ჩართული უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაში და წარმოადგენდეს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ ან სამეცნიერო პერსონალს.
2. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე თსუ-ს აფილირებული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის (შემდგომში ს/ს) ან კათედრის აკადემიური პერსონალის საერთო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე.
3. შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის შუამდგომლობისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი/კოორდინატორი შეიძლება იყოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე თსუ-ს სამეცნიერო პერსონალი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი).

4. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი ან კოორდინატორი. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ კოორდინატორი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის (შემდგომში კომიტეტი) წევრები. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას და სადოქტორო პროგრამის განხილვას შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე.
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი არის ძირითადი საკონტაქტო პირი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და კომიტეტთან თანამშრომლობით ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს ევალება: სტუდენტის ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.
7. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ან კოორდინატორი.
8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის, მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განხორცილებაში ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა (არსებობის შემთხვევაში).
9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მათ კომპეტენტურობას.
10. მიზანშეწონილია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობა.

11. სადოქტორო პროგრამის წარდგენისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია თსუ-ს რეგულაციებით.

**მუხლი 7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი**

1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.
2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.
3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა შეუძლია თსუ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი)/სამეცნიერო პერსონალს (უფროსი მეცნიერი თანამშრომლი, მთავარი მეცნიერი თანამშრომლი), რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი და უდასტურდება:
   ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის სფეროში;
   ბ) აქტიური მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში ან/და დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში, ან/და დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკაში/კვლევის სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები (არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი) ბოლო 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
   გ) ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა).
4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უნდა წარმოადგენდეს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე თსუ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე. დოქტორანტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ს ემერიტუსი პროფესორიც.
5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები,სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებ-ლო/სამეცნიერო დაწესებულებები).
6. თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს.

7. დოქტორანტს, მის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უნდა უწყობდეს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას.
8. დოქტორანტის ხელმძღვანელობა აისახება შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში.
9. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტს. გამონაკლის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 5 დოქტორანტს. აღნიშნული დასაშვებია მაშინ, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის წარდგენის მიზნით. სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია დადგინდეს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების ამ პუნქტში მოცემული პირობებისგან განსხვავებული თანაფარდობა, რის თაობაზეც თანხმობას გასცემს ფაკულტეტის საბჭო.
10. სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.
11. კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები უნდა ჰქონდეს დოქტორანტებთან კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.
12. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer- reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვ.
13. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროცესზე პერიოდულ დაკვირვებას, დოქტორანტისთვის განმავითარებელი შეფასების მიცემას და უკუკავშირს.
14. თანახელმძღვანელი მხარს უჭერს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში, ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
16. ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და სადისერტაციო თემის სათაურს. დასამტკიცებლად წარმოდგენილი სადისერტაციო თემის სათაური განხილული და მოწონებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის პროფილის შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის/კათედრის მიერ.
17. დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

**მუხლი 8. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები**

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ხელს უწყობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობისათვის. სასწავლო და კვლევითი კომპონენეტების განმარტება მოცემულია თსუ აკადემიური საბჭოს N138/2024 დაგენილების დანართი N 3-ში („სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განმარტებანი“).
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით შესრულებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.
3. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია დისერტაციის, ასევე სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით.
4. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს/მოდულებს.
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტი შეადგენს არაუმეტეს 60 ECTS კრედიტს. კვლევითი კომპონენტი კი ითვალისწინებს 2 სამეცნიერო-კვლევით პროექტს და სადისერტაციო ნაშრომს.
6. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი კურსებიდან/მოდულებიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულოა:
   ა) ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია (5 კრედიტი)

ბ) ერთი დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი)[1]

გ) პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი)

7. სასწავლო კომპონენტის დანარჩენი კურსები/მოდულები არის არჩევითი (მათ შორის, აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის (5 კრედიტი), მეცნიერების მენეჯმენტი (5 კრედიტი), სწავლების მეთოდები (5 კრედიტი) და სხვ.) და განისაზღვრება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.
8. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ს ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული ლექტორი და ის უძღვება პრაქტიკულ/სასემინარო/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში ამ აქტივობისათვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი) იმ შემთხვევაში, თუ ის აღნიშნულ სამუშაოს შეასრულებს ანაზღაურების გარეშე.
9. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 სამეცნიერო-კვლევით პროექტს[2] და სადისერტაციო ნაშრომს.

---

[1] სადოქტორო დარგობრივი სემინარი იქმნება ფაკულტეტის სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები/ კოორდინატორები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. სადოქტორო დარგობრივი სემინარის მონაწილეები საჯარო განხილვისთვის წარმოადგენენ მოხსენებებს დარგის სხვადასხვა აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე.

სადოქტორო დარგობრივი სემინარი არის სასწავლო კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის კვლევითი უნარების გამომუშავებას. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სადოქტორო დარგობრივ სემინარზე წარმოდგენილი ნაშრომი სრულდება შესაბამის სამეცნიერო დარგში/სფეროში, დოქტორანტის მიერ სადოქტორო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლევის მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე. ის ფასდება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (იხ. სემინარის შეფასების კრიტერიუმები) დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევართა მიერ.

[2] დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არის პროგრამის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები.

კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას.

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი ფასდება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (იხ. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები) დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევართა მიერ. კვლევითი პროექტისადმი

10. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების მიზნით დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით თვითონ ადგენს ინდივიდუალურ კვლევის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს: კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურას და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვ. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.
11. დოქტორანტის მიერ შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.

## მუხლი 9. დისერტაცია

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
2. დისერტაციის/სადოქტორო ნაშრომის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა, იყოს ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.
3. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას (თსუ აკადემიური საბჭოს N138/2024 დაგენილების №5 დანართი - „რეკომენდაციები სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურისათვის).
4. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია/დისერტაციის მაცნე წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე და იყოს საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი.
5. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
6. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
7. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს (ბიბლიოგრაფიის ჩათვლით). სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობა განისაზღვრება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.
8. ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის ტექსტი უნდა იყოს იდენტური და უნდა იძლეოდეს

---

წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დისერტაციის წარდგენამდე.

ნაშრომის სრულფასოვნად შეფასების საშუალებას. მასში უნდა აისახოს სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე, კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა, ძირითადი დასკვნები, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა.

9. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი (4 ეგზემპლარი), ისე ელექტრონული სახით (PDF ფაილი).
10. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობა, ფორმატი და ტექნიკური მონაცემები:

ა) მოცულობა - ქართულ ენაზე არაუმეტეს 70 გვერდისა.

ბ) ფორმატი - A5

გ) შრიფტი – უნიკოდი (Sylfaen); შრიფტის ზომა – 12.

დ) სტრიქონებს შორის მანძილი 1,15; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ; მარჯვნიდან 2 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2 სმ.

11. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

**მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა**

1. დოქტორანტი ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში წარადგენს სადისერტაციო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას.
2. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება აქვს აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს.
3. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს. სადისერტაციო ნაშრომის ავთენტურობის შესახებ განაცხადის ფორმა დადგენილია თსუ აკადემიური საბჭოს N 138/2024 დაგენილების №6 დანართით.

ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში, რომლის ფორმა განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს N 138/2024 დადგენილების N 7 დანართით („შემაჯამებელი ანგარიში“).

გ) ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია (დისერტაციის მაცნე) - ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე.

დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე, რომლის ფორმაც განსაზღვრულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს N 138/2024 დაგენილების №8 დანართით ( „სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის ფორმა“)

ე) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა დოქტორანტის მიერ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვებული კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;

თ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის).

4. დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, 3 პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან 2 გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science- ის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

5. წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

6. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო მასალების ფაკულტეტზე წარდგენის შემდგომ ფაკულტეტის საბჭო ერთი თვის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმის წარმოებას - გამოყოფს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებს, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის/კათედრის რეკომენდაციით შეარჩევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას, სააპელაციო კომისიას და დეკანის წარდგინებით დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ წარმოდგენილ დისერტაციის დაცვის თარიღს.

7. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით ფაკულტეტის საბჭოსათვის გათვალისწინებული გარკვეული უფლებამოსილებები, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა გადაეცეს სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მუხლი 11. საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება**

1. დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება რეფერირებად (Peer-reviewed) სამეცნიერო მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.
2. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის ბაზებში (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით).
3. ფაკულტეტი დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამისი საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ.

**მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები [3]**

1. ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, მათ შორის, ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზენტს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელთაც შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი.

[3] ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება **2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგომ** ჩარიცხულ დოქტორანტებზე. იქამდე ჩარიცხულ დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების შესახებ იხ. გარდამავალი დებულებები.

2. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/ მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
3. ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.
4. საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.
5. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა[4], რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას.
6. რეცენზენტის მოძიების, დამტკიცებისა და მისი საქმიანობის მექანიზმები განისაზღვრება ფაკულტეტის/ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.
7. რეცენზენტების მოსაძიებლად ფაკულტეტი იყენებს დარგის ექსპერტთა/რეცენზენტთა ბაზას.
8. პოტენციურ რეცენზენტებთან კომუნიკაციას წარმართავს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.
9. რეცენზენტობაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, რომელთაც დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
10. რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს.
11. რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს თსუ აკადემიური საბჭოს N138/2024 დაგენილების N 9 დანართით დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად.
12. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას

[4] ანონიმურობა გულისხმობს, რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობის კონფიდენციალურობას.

მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შესწორებული ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად.

**მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია**

1. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას და სადისერტაციო ნაშრომის სააპელაციო კომისიას.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი სფეროს აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისაგან, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის ორიგინალობის და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში.
4. დაცვის კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარე შემფასებლების მონაწილეობა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი საქართველოდან ან უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა. სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.
5. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები დისერტაციის დადებითად რეცენ-ზირების შემთხვევაში არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 7 წევრისგან.
9. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება და მუშაობის წესი გან-საზღვრულია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით.

## მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისია

1. დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრების მიზნით იქნება სააპელაციო კომისია, რომელიც შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისგან.
2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა შეირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ და მას დეკანის წარდგინებით ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
3. სააპელაციო კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
4. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.
5. სადისერტაციო ნაშრომის საპელაციო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

## მუხლი 15. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო და ღია. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე, მინიმუმ, ერთი კვირით ადრე.
2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
4. დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს N: 116/2018 დადგენილებით და მისი N 2 დანართით („ დაცვის ოქმის ფორმა“.)
5. იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტისა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები და ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
6. დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება ხდება უნივერსიტეტში თსუ აკადემიური საბჭოს N 138/2024 დაგენილების N12 დანართით განსაზღვრული წესით. შესაბამისად.

## მუხლი 17. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კომისიური წესით კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის.
3. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

   ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა.

   ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა.

   გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა. 12

   დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა.

   ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულმოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

   ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა.

   ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.
6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად.

**მუხლი 18. ხარისხის მინიჭება და სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება**

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.
3. დიპლომს ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ფაკულტეტის დეკანი.
4. ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას; ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.
5. ერთიანი ეროვნული ელექტრონული პორტალის ამოქმედების შემდგომ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკისა და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაციის განთავსებას ერთიან ელექტრონულ პორტალზე.
6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურის ამსახველი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი ქვეყნდება თსუ-ს ვებგვერდზე; სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია ინახება ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

**მუხლი 19. გარდამავალი დებულებები**

1. ფაკულტეტზე მოქმედ აკრედიტებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებული პირობების შესრულება სავალდებულო იქნება მათი რეაკრედიტაციის, ასევე პროგრამის სასწავლო კომპონენტის ცვლილებების შემთხვევაში.
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019-2020 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისთვის დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო

ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც განხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და ფაკულტეტების შესაბამისი დებულებებით, რომლებიც მოქმედებდა დოქტორანტების ჩარიცხვის მომენტისთვის (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №245/2018) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად).

3. ამ დებულების მე-12 მუხლით დადგენილი მოთხოვნები ვრცლდება 2024 წლის 30 აგვისტოდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე.
4. 2024 წლის 30 აგვისტომდე ჩარიცხული დოქტორნატებისთვის:
   ა) ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, რომელთაც შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი;
   ბ) რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/ სპეციალობაში/მიმართლებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები;
   გ) რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს;
   დ) რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად (დანართი №9);
   ე) ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.
5. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით და ამ დებულების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილ რაოდენობაზე მეტ დოქტორანტს შეეზღუდოს დამატებით დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019-2020 სასწავლო წელს და შემდგომ ჩარიცხულ დოქტორანტებს, რომლებიც დისერტაციას წარადგენენ არაუგვიანეს 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა, უფლება აქვთ ამავე დებულების მე-11 და თსუ დოქტორანტურის  მინიმალური სტანდარტის მე-10 მუხლის შესაბამისად დისერტაციის დაცვის აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრული ორი საერთაშორისო პუბლიკაციიდან ერთ-ერთი გამოაქვეყნონ როგორც Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), ასევე ისეთ საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია ERIH PLUS-ის ბაზაში.

**მუხლი 20. დასკვნითი დებულებები**

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებას შეიმუშავებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ–ს აკადემიური საბჭო.
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება ამოქმედდება აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.